



დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №96

2014 წლის 5 დეკემბერი

ქ.დუშეთი

დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მლაშის წყაროს აღდგენითი სამუშაოების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის თაობაზე დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ ბაზალეთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ მლაშის მოსახლეობა იმყოფება სასმელი წყლის გარეშე, ვინაიდან არსებული წყარო დაზიანებულია, ხოლო სხვა რესურსი სადღეისოდ სოფელს არ გააჩნია. აღნიშნულთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტის გამგებელი ითხოვს თანხმობას, რომ წყაროს აღდგენითი სამუშაოების შესყიდვა განხორციელდეს გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის წესით.

მოქმედი კანონმდებლობით, აღნიშნული შესყიდვა უნდა განხორციელდეს ელექტრონული ტენდერის მეშვეობით, რომლის პროცედურები გარკვეულ დროს მოითხოვს. იმის გათვალისწინებით, რომ, ზამთრის სეზონთან დაკავშირებით, მოსალოდნელია ამინდის მკვეთრი გაუარესება და ტემპერატურის ვარდნა, შესაძლოა, პრობლემა შეექმნას აღდგენითი სამუშაოების განხორციელებას. ეს გამოიწვევს სოფელ მლაშის მოსახლეობის სასმელი წყლის გარეშე დარჩენას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტის გამგეობა ვითარებას აფასებს, როგორც გადაუდებელ აუცილებლობას და ითხოვს თანხმობას, რათა სოფელმლაშის წყაროს აღდგენითი სამუშაოების შესყიდვა მოხდეს გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის საშუალებით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, მე-16 მუხლის მეხამე ნაწილისა და საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გადაწყვიტა:

1. მიეცეს თანხმობა, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს, სოფელ მლაშის წყაროს აღდგენითი სამუშაოების შესყიდვა განხორციელოს გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის საშუალებით.
2. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.